ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

Institute for Development
of Freedom of Information

ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში

(იანვარი-აგვისტო, 2017)

ავტორები:

გიორგი ბერაია

თამარ იაკობიძე

თეონა ტურაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ალ. გრიბოედოვის ქ. №3

საქართველო, 0180, თბილისი

ტელ: + 995 32 2 92 15 14

ელ-ფოსტა: info@idfi.ge

სარჩევი

შესავალი 3

მოვლენების ქრონოლოგია 4

ფარული მიყურადების ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში 6

სატელეფონო საუბრის მიყურადების მონაცემები 2016 წელს 6

ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2016 წლის რეესტრი 11

უკანონო ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით მედიაში გაჟღერებული ფაქტები 14

უკანონო ფარული მიყურადების რეგულირება - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) რეფორმა 15

განსხვავებული პოზიციები ცვლილებების გარშემო 18

კამპანია „ეს შენ გეხება“ 19

სატელეკომუნიკაციო კომპანიები 20

პრეზიდენტის ადმინისტრაცია 21

პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი 25

სახალხო დამცველის აპარატი 25

მორიგი სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში 26

საკონსტიტუციო სარჩელის განხილვა 27

მიმდინარე პროცესების შეჯამება 28

შესავალი

2016 წლის აპრილში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ტექნიკური წვდომა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ქსელებთან, რაც იძლევა კომუნიკაციის შეუზღუდავი მონიტორინგისა და მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობას. გადაწყვეტილების მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების პროცესის კონტროლს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა 2017 წლის 31 მარტი, როგორც ბოლო ვადა იმისთვის, რომ შეცვლილიყო კანონი და მომზადებულიყო ახალი სისტემისთვის საჭირო ინსტიტუციური და ტექნიკური ბაზა. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 22 მარტს მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც ახლებურად მოაწესრიგა ფარული ელექტრონული თვალთვალის განმახორციელებელი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ორგანიზება. ამ საკანონმდებლო ცვლილებებით, მიყურადების ფუნქციებს ახორციელებს **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც შედის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) მმართველობის სფეროში.**

ახალი საკანონმდებლო ცვლილებები კრიტიკის საგანი გახდა, როგორც კამპანია „ეს შენ გეხებაში“ გაერთიანებული არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე სახალხო დამცველის, საქართველოს პრეზიდენტის, სატელეკომუნიკაციო კომპანიებისა და ოპოზიციური პარტიების მხრიდან. პრეზიდენტმა ახალ ცვლილებებს ვეტო დაადო, თუმცა პარლამენტმა არ გაიზიარა პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები, და დაძლია იგი. ვეტოს დაძლევის შემდეგ, ახალი სამართლებრივი რეგულაციები საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა 300-მდე მოქალაქემ (კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში), საქართველოს სახალხო დამცველმა, და პოლიტიკურმა პარტიებმა: „ევროპული საქართველო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“. წინამდებარე ანგარიშის მომზადების დროისთვის, სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი იხილავს. განმწესრიგებელმა სხდომამ უნდა გადაწყვიტოს საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი.

მოვლენების ქრონოლოგია

ფარული თვალთვალის საკანონმდებლო რეგულაციების მიღების ქრონოლოგია (2013-2017)[1]

2012 სექტემბერი - სხვადასხვა ქსელით გავრცელდა ჩანაწერები, რომელიც მოიცავდა უკანონო ფარული მიყურადებით შეგროვებულ პირადი ცხოვრების ამსახველ მასალას. ჩანაწერები ძირითადად 2003-2012 წლებში უკანონოდ იქნა შეგროვებული სხვადასხვა ძალოვანი უწყების მიერ. გავრცელებული ინფორმაციით, ჩანაწერები მოიცავდა დაახლოებით 29,000-მდე ვიდეო და აუდიო ჩანაწერს.

2012 სექტემბერი - ჩანაწერების გავრცელებამ დიდი საზოგადოებრივი გამოხმაურება გამოიწვია. უკანონო მიყურადების საკითხის დარეგულირება კოალიცია „ქართული ოცნების" ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება გახდა.

2012 ოქტომბერი - ახალმა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პირობა დადო, რომ უკანონო თვალთვალის და მიყურადების აღსაკვეთად შეიქმნებოდა ძლიერი საკანონმდებლო და აღმასრულებელი მექანიზმები.

2013 ივლისი - უკანონო მიყურადებასთან დაკავშირებული ცვლილებების პაკეტი წარდგენილ იქნა პარლამენტში.

2014 მარტი - უკანონო მიყურადების საკითხის დარეგულირების გაჭიანურების გამო არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიწყეს კამპანია „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ". საერთაშორისო დამკვირვებლების პოზიციის გათვალისწინებით, კამპანიის მოთხოვნა იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაცავად შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებების მიღება, და საკომუნიკაციო მონაცემებზე ხელისუფლების პირდაპირი წვდომის შეზღუდვა.

2014 აგვისტო - პარლამენტმა 2013 წლის ივლისში წარდგენილი ცვლილებების მხოლოდ ერთი ნაწილი მიიღო. აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილის მხრიდან (შსს, პრემიერმინისტრი) მთავარი წინააღმდეგობა შეეხებოდა საკომუნიკაციო მონაცემებზე პირდაპირი წვდომის შეზღუდვის საკითხს. ამ საკითხის მოწესრიგება გადაიდო 2014 წლის 1 დეკემბრამდე.

2014 ოქტომბერი - პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც, ფარული თვალთვალის ერთი გასაღები (ანუ წვდომა) ისევ შსს-ს დარჩა, მეორე გასაღების გამოყენების უფლება კი, მხოლოდ

[1] ქრონოლოგია გავრცობილია IDFI-ის მიერ შემდეგი წყაროს გამოყენებით: ზაზა წულაძე, „ისევ სუს-ი მოგვისმენს", ამერიკის ხმა, გამოქვეყნებულია 01.03.2017, ხელმისაწვდომია: https://www.amerikiskhma.com/a/georgia-the-law-on-surveillance-causes-fears/3745244.html

ფარული სატელეფონო მოსმენის შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიენიჭა.

2014 ნოემბერი/დეკემბერი - იმის გამო, რომ შსს-მ გასაღები შეინარჩუნა, პრეზიდენტმა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონს ვეტო დაადო. საპარლამენტო უმრავლესობამ ვეტო დაძლია და გიორგი მარგველაშვილმა კანონს ხელი მოაწერა.

2015 თებერვალი - სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის ის მუხლი, რომლითაც შსს-ს ფარული თვალთვალის გასაღები დარჩა.

2015 აპრილი - კამპანია „ეს შენ გეხებამ“ ანალოგიური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს; მოგვიანებით ორივე ეს სარჩელი გაერთიანდა.

2015 ივლისი - შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს) გამოეყო.

2016 აპრილი - საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული ის რეგულაციები, რომელიც სუს-ს მობილური ოპერატორების სერვერებთან პირდაპირი წვდომის გზით მიყურადების განხორციელების საშუალებას აძლევდა. სასამართლომ ამ საკანონმდებლო ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად პარლამენტს ვადა 2017 წლის 31 მარტამდე განუსაზღვრა.

2017 იანვარი - პარლამენტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც კამპანია „ეს შენ გეხებას“ წარმომადგენლებიც შევიდნენ, თუმცა მას შემდეგ რაც საპარლამენტო უმრავლესობამ საკუთარი კანონპროექტი წარმოადგინა, სადაც გასაღები ისევ სუს-ის დაქვემდებარებაში არსებული ახალი სააგენტოს ხელში დარჩა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა სამუშაო ჯგუფი დატოვეს. უმრავლესობის კანონპროექტი გააკრიტიკა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ.

2017 მარტი - პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. ცვლილებების მიხედვით, სუს-ის მმართველობის სფეროში შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო“, რომლის ხელშიც იქნება ფარული მიყურადებისთვის საჭირო ე.წ. გასაღები.

2017 მარტი - საქართველოს პრეზიდეტმა გიორგი მარგველაშვილმა ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტს ვეტო დაადო.

2017 მარტი - პარლამენტმა განიხილა და მხარი არ დაუჭირა პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს „ფარული საგამოძიებო მოქმედებების“ შესახებ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე და მიღებული კანონი უცვლელად დატოვა.

2017 აპრილი - კამპანია „ეს შენ გეხებას“ წარმომადგენლებმა საკონსტიტუციო სასამართლოში 283 მოქალაქის სარჩელი გაგზავნეს ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით.

2017 მაისი - „ეს შენ გეხებას“ სარჩელები პირველი კოლეგიის ორი მოსამართლის შუამდგომლობის საფუძველზე განსახილველად გადაეცა საკონსტიტუციო სასამართლოს სრულ შემადგენლობას. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა 4-მა მოსამართლემ.

2017 ივნისი-ივლისი - საკონსტიტუციო სასამართლომ დაიწყო განხილვა, იმეორებს თუ არა ფარული მიყურადების ახალი საკანონმდებლო ცვლილებები სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების შინაარს. ჯერ-ჯერობით განხილვა არ დასრულებულა და არ არის ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილება.

ფარული მიყურადების ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში

სატელეფონო საუბრის მიყურადების ბოლო წლების მონაცემები

საქართველოს უზენაესი სასამართლო პერიოდულად აქვეყნებს სტატისტიკას სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე გაცემული სასამართლო ნებართვების შესახებ.[2] ბოლოს გამოქვეყნებულია 2017 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემები. სტატისტიკის მიხედვით, 2017 წლის იანვარ-ივნისში საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში განხილულია სულ 265 შუამდგომლობა, საიდანაც სრულად დაკმაყოფილდა 239, ხოლო ნაწილობრივ - 16. შესაბამისად, დაკმაყოფილების წილმა შეადგინა 96%. წინა წლებში, მთელი წლის მანძილზე მოთხოვნათა დაკმაყოფილების მაჩვენებელი 82-86%-ს შორის მერყეობდა. თუ პირველი ექვსი თვის ტენდენცია გაგრძელდა, 2017 წელს გაიზრდება წინა წლებთან შედარებით დაკმაყოფილებული მოთხოვნების წილი.

[2] უზენაესი სასამართლოს მიერ სატელეფონო საუბრის მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება დაკავშირებულია „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ინიციატივასთან. კერძოდ, ამ მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება თავდაპირველად IDFI-ისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ OGP-ის 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაცია იყო. ამ ვალდებულების შესრულებით, საქართველო მოხვდა მსოფლიოს მასშტაბით იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, სადაც ეს მონაცემები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

პროკურატურის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობები (IDFI-ის მიერ 2013 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან გამოთხოვილი ინფორმაცია)[3]				
წელი	**მიღებული**	**დაკმაყოფილდა**	**ნაწილობრივ დაკმაყოფილდა**	**დაკმაყოფილების წილი**
2011	7,195	7,187	n/a	99.86%
2012	5,951	5,939	n/a	99.80%
2013 (იანვარი – მაისი	1,400	1,259	n/a	89.93%
პირველი ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილი სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობები (უზენაესი სასამართლოს მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული მონაცემები)				
2014	1,074	894	n/a	83.24%
2015	373	261	45	82%
2016	401	315	30	86%
2017 (6 თვე)	265	239	16	96%

2014 წლიდან გამოქვეყნებულ მონაცემებში არ იყო მითითებული დანაშაულის სახეობა და გეოგრაფიული არეალი. შესაბამისად „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) 2016-2017 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებულ ვალდებულებას დაემატა მონაცემების გამოქვეყნება დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით.[4] უზენაესმა სასამართლომ შეასრულა ვალდებულება და **2016 წლიდან სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერის სტატისტიკა ჩაშლილია სასამართლოებისა და დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით.**

ამ მხრივ, 2017 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებში შემდეგი ტენდენცია გამოვლინდა. ყველაზე მეტი - 197 შუამდგომლობა განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომ (74%). დანარჩენი 68 შუამდგომლობა ნაწილდება 12 საქალაქო/რაიონულ სასამართლოზე, საიდანაც გამოირჩევა ქუთაისი (25 შუამდგომლობა), ბათუმი (11 შუამდგომლობა) და რუსთავი (6 შუამდგომლობა).[5] როგორც ირკვევა, **ამავე პერიოდში განხილული შუამდგომლობების ნახევარზე ოდნავ ნაკლები (265-დან 122) მოდის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ოთხ მუხლზე - თაღლითობა (47 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 180), გამოძალვა (36 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 181), ქრთამის**

[3] მიყურადების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობა IDFI-ის პრაქტიკა, *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი*, 14 მარტი, 2014, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/statistical-data-idfi-practice

[4] ვალდებულება 13: სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით, გვ. 23, http://bit.ly/2knGmxw

[5] მონაცემები გამოქვეყნებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე: http://bit.ly/2iu3QEg

აღება (26 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 338) და განზრახ მკვლელობა (13 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 108).[6]

სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე **2017 წლის 6 თვეში** განხილული შუამდგომლობები დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით	
სისხლის სამართლის კოდექსის[7] მუხლი	განხილული შუამდგომლობების რაოდენობა
მუხლი 180. თაღლითობა	**47**
მუხლი 181. გამოძალვა	**36**
მუხლი 338. ქრთამის აღება	**26**
მუხლი 108. განზრახ მკვლელობა	**13**
მუხლი 212. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება	**12**
მუხლი 210. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება	**11**
მუხლი 179. ყაჩაღობა	**11**
მუხლი 194. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)	**9**
მუხლი 177. ქურდობა	**9**
მუხლი 223[1]. ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა	**8**
მუხლი 182. მითვისება ან გაფლანგვა	**6**
მუხლი 372. ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე	**5**
მუხლი 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	**5**
მუხლი 187. ნივთის დაზიანება ან განადგურება	**5**
მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	**5**
მუხლი 333. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება	**4**
მუხლი 143[1]. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)	**4**

[6] მონაცემები გამოქვეყნებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე: http://bit.ly/2xLWz5k

[7] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426#!

მუხლი 214. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა	**4**
მუხლი 205[1]. ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით	**3**
მუხლი 143. თავისუფლების უკანონო აღკვეთა	**3**
მუხლი 362. ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება	**3**
მუხლი 141. გარყვნილი ქმედება	**3**
სხვა	**23**
ჯამი:	**265**

საგულისხმოა, დანაშაულის კვალიფიკაციის მხრივ 2016 წლის სტატისტიკაც. **წინა წელს განხილული შუამდგომლობების დაახლოებით ნახევარი მოდიოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამ მუხლზე - თაღლითობა (70 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 180), გამოძალვა (58 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 181) და ქრთამის აღება (57 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 338).**[8]

სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე 2016 წელს განხილული შუამდგომლობები დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით	
სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	განხილული შუამდგომლობების რაოდენობა
მუხლი 180. თაღლითობა	**70**
მუხლი 338. ქრთამის აღება	**57**
მუხლი 181. გამოძალვა	**58**
მუხლი 182. მითვისება ან გაფლანგვა	**18**
მუხლი 194. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)	**14**
მუხლი 108. განზრახ მკვლელობა	**14**
მუხლი 210. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება	**14**
მუხლი 179. ყაჩაღობა	**12**
მუხლი 223[1]. ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა	**12**
მუხლი 177. ქურდობა	**11**
მუხლი 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის	**11**

[8] ანალიზის სრული ვერსიის სანახავად გადადით შემდეგ ბმულზე:
https://idfi.ge/ge/statistical_data_on_phone_conversation_surveillance

ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	
მუხლი 262. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა	**9**
მუხლი 212. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება	**9**
მუხლი 109. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში	**6**
მუხლი 221. კომერციული მოსყიდვა	**6**
მუხლი 144. მძევლად ხელში ჩაგდება	**5**
მუხლი 205[1]. ქონების გადამალვა მოჩვენებითი ან/და თვალთმაქცური გარიგებით	**5**
მუხლი 218. გადასახადისათვის თავის არიდება	**5**
მუხლი 339. ქრთამის მიცემა	**5**
მუხლი 187. ნივთის დაზიანება ან განადგურება	**4**
მუხლი 143[1]. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)	**4**
მუხლი 200[1]. ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენება	**3**
მუხლი 200. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა	**3**
მუხლი 372. ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე	**3**
მუხლი 143. თავისუფლების უკანონო აღკვეთა	**3**
მუხლი 318. საბოტაჟი	**3**
მუხლი 185. ქონებრივი დაზიანება მოტყუებით	**3**
მუხლი 214. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა	**3**
მუხლი 223. უკანონო ფორმირების შექმნა, ხელმძღვანელობა, ასეთ ფორმირებაში გაწევრება, მონაწილეობა ან/და უკანონო ფორმირების სასარგებლოდ სხვა საქმიანობის განხორციელება	**3**
მუხლი 315. შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად	**3**
მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	**3**
მუხლი 178. ძარცვა	**2**
მუხლი 328. უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება ან ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება	**2**

სხვა	**18**
ჯამი:	**401**

გეოგრაფიული განაწილების მიხედვით, 2016 წელს, საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების ყველაზე მეტი რაოდენობა კვლავაც თბილისზე მოდის 75%-იანი მაჩვენებლით. თუმცა, **თუ 2017 წელს თბილისს ქუთაისი მოსდევს, 2016 წელს ამ პოზიციას ბათუმი იკავებდა.** კერძოდ, 2016 წელს ყველაზე მეტი - 299 შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა. დანარჩენი 102 შუამდგომლობა ნაწილდება 15 საქალაქო/რაიონულ სასამართლოზე, საიდანაც შედარებით გამოირჩევა ბათუმი (22 შუამდგომლობა), ქუთაისი (19 შუამდგომლობა) და რუსთავი (13 შუამდგომლობა). [9]

2015 წლიდან პროაქტიულად გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ასევე შედის მონაცემები სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების რაოდენობის შესახებ. 2017 წლის პირველი სამი თვის მონაცემებით, საქალაქო/რაიონულმა სასამართლოებმა სულ განიხილეს 44 ამგვარი შუამდგომლობა, რომელთაგანაც სრულად დაკმაყოფილდა 40 და ნაწილობრივ 4.[10]

ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2016 წლის რეესტრი

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2014 წლის 1 აგვისტოდან უზენაესმა სასამართლომ ასევე დაიწყო ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის პროაქტიულად გამოქვეყნება, სადაც გაერთიანებულია, როგორც სატელეფონო მიყურადებაზე, ისე სხვა ფარული მოქმედებების შესახებ დაკმაყოფილებული შუამდგომლობების შესახებ მონაცემები. დღეის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია 2014 წლის 4 თვის (18 აგვისტო - 31 დეკემბერი)[11], 2015 [12] და 2016 [13] წლების მონაცემები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, **ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეებია**: [14]

---

[9] მონაცემები გამოქვეყნებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე: http://bit.ly/2kFltOu

[10] მონაცემები გამოქვეყნებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე: http://bit.ly/2tZQvFT

[11] ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის მონაცემები საქართველოს I ინსტანციის სასამართლოების მიხედვით 2014 წლის 18 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2kWp5eY

[12] ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის 2015 წლის მონაცემები საქართველოს საქალაქო/რაიონული სასამართლოების მიხედვით. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2kkju21

[13] ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის 2016 წლის მონაცემები საქართველოს საქალაქო/რაიონული სასამართლოების მიხედვით. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2jzJskY

[14] მუხლი 143[1]. ფარული საგამოძიებო მოქმედების სახეები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2jYtWLW

- სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა;
- ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია;
    - **კავშირგაბმულობის არხიდან** (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით);
    - **კომპიუტერული სისტემიდან** (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად);
    - ამ მიზნით **კომპიუტერულ სისტემაში** შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია.
- საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;
- ფარული ვიდეო- და აუდიოჩაწერა, კინო- და ფოტოგადაღება;
- ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2016 წლის რეესტრის მონაცემებით ირკვევა, რომ 2015 წელთან შედარებით 2016 წელს სასამართლოებში შესული შუამდგომლობების (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, ინფორმაციის მოხსნა კავშირგაბმულობის არხიდან, ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა კომპიუტერული სისტემიდან და სხვ.) რაოდენობა გაიზარდა 1,5-ჯერ, ხოლო მათი დაკმაყოფილების წილი - 77%-დან 92%-მდე.



ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის გამოქვეყნებით შესაძლებელი ხდება იმის გაგება, თუ ფარული მოქმედებების რა წილს შეადგენს ყოველწლიურად სატელეფონო მიყურადება. როგორც ირკვევა, **2016 წელს სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობები მთლიანი ფარული მოქმედებების მხოლოდ 9.7% იყო.** რეგიონების მიხედვით პროცენტულად ლიდერობს თეთრიწყარო (42,9%), სენაკი (18%) და გურჯაანი (18%). თბილისში 2016 წელს სატელეფონო მიყურადების წილი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში 10.3% იყო. 2015

წელს სატელეფონო მიყურადების ჯამური წილი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში 13.8%-ს შეადგენდა. შესაბამისად, **ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა, რომლითაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ახორციელებდა ზედამხედველობას, 2016 წელს გავრცელდა მთლიანი ფარული მოქმედებების მხოლოდ 9,7%-ზე.**

2016 წლის ფარული საგამოძიებო მოქმედებები და სატელეფონო მიყურადება			
	სულ განხილული შუამდგომლობები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით	მათ შორის განხილული შუამდგომლობები სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით	სატელეფონო მიყურადების წილი ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში
თბილისი	2902	299	10.30%
ბათუმი	207	22	10.60%
ქუთაისი	188	19	10%
რუსთავი	141	13	9%
ზუგდიდი	121	6	4.90%
გორი	110	9	8%
თელავი	78	4	5%
ბოლნისი	67	5	7.50%
ახალციხე	60	6	10%
ოზურგეთი	48	1	2%
მცხეთა	47	2	4%
ფოთი	27	0	0%
სამტრედია	13	0	0%
სენაკი	22	4	18%
ზესტაფონი	20	1	5%
ხელვაჩაური	18	2	11%
ხაშური	15	0	0%
თეთრიწყარო	14	6	42.90%
საჩხერე	12	0	0%
გურჯაანი	11	2	18%
სიღნაღი	4	0	0%
ცაგერი	4	0	0%
ახალქალაქი	2	0	0%
სულ	**4131**	**401**	**9.70%**

სამწუხაროდ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი არ არის მოცემული დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით, რაც დამატებითი ანალიზის საშუალებას შექმნიდა. შესაბამისად, **დღეს ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები ვერ იძლევა სახელმწიფოს მხრიდან კანონიერი მიყურადების გამოყენების სრულ სურათს.**

უკანონო ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით მედიაში გაჟღერებული ფაქტები

2017 წლის იანვრიდან ივლისამდე ფარული მიყურადების შემთხვევებთან დაკავშირებით მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა:

ბიძინა ივანიშვილის შესახებ არსებული ფარული ჩანაწერები

საქართველოს მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის დავით საყვარელიძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროს მოქმედი მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი მას სთავაზობდა ბიძინა ივანიშვილის სატელეფონო ფარული ჩანაწერების ამსახველი აუდიომასალის ყიდვას რამდენიმე მილიონის სანაცვლოდ. ეს ინფორმაცია დაადასტურა რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ.[15]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

2017 წლის 20 აპრილს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა შსს-ს მინისტრის ყოფილი მოადგილის შოთა ხიზანიშვილის, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ლევან ქარდავასა და ამავე უწყების დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილის ვასილ ლელუაშვილის განაჩენი, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2009 წელს, ვასილ ლელუაშვილის დავალებით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა უკანონოდ შექმნა ისეთი კომპიუტერული პროგრამა, რომლის დახმარებითაც, შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერ კომპიუტერულ სისტემაში შეღწევა, მათ შორის კომპიუტერთან ახლოს გამართული საუბრების უკანონო მიყურადება და ჩაწერა. აღნიშნული პროგრამა შეიქმნა 2011 წელს და გამოიყენებოდა პირადი ინფორმაციის უკანონოდ მოსაპოვებლად.[16]

სასამართლოს გადაწყვეტილება კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნების თაობაზე

2017 წლის 3 ივლისს პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების მოპოვება-შენახვაში ბრალდებული კუდ-ისა და პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნები სასამართლომ დამნაშავედ ცნო. საქმეზე ბრალდებული 6 პირიდან ერთი გამართლდა მასზე არასაკმარისი მტკიცებულებების

---

[15] საყვარელიძე: ნაცვლიშვილმა რამდენიმე მილიონად შემოგვთავაზა ივანიშვილის ფარული ჩანაწერი, *ნეტგაზეთი,* 07.02.2017, ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/172353/

[16] სააპელაციო სასამართლომ ხიზანიშვილის, ქარდავასა და ლელუაშვილის განაჩენი ძალაში დატოვა, *on.ge,* 20.04.2017, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2u9N410

არსებობის გამო, დანარჩენებს კი თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ. თუმცა, ბრალდებული ხუთი პიროვნებიდან ორი ამჟამად მიმალვაშია.[17]

უკანონო ფარული მიყურადების რეგულირება - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) რეფორმა

2016 წლის 14 აპრილს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ფარული მოსმენების არსებული წესი არაკონსტიტუციური იყო და პარლამენტს კანონის შესაცვლელად ვადა 2017 წლის 31 მარტამდე მისცა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, **ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას სატელეფონო და ინტერნეტ კომუნიკაციაზე პირდაპირი წვდომა, ისევე როგორც მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირებისა და შენახვის შესაძლებლობა, არ უნდა ჰქონდეს ამგვარი მონაცემების შეგროვებაზე პროფესიულად დაინტერესებულ საგამოძიებო ორგანოს.** შესაბამისად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სატელეფონო და ინტერნეტ კომუნიკაციაზე პირდაპირი წვდომის შესაძლებლობა.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 22 მარტს მიიღო ცვლილებები, რომლითაც ახლებურად მოაწესრიგა ფარული ელექტრონული თვალთვალის განმახორციელებელი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ორგანიზება. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, აღნიშნულ ფუნქციებს ახორციელებს **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც შედის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში.** 2017 წლის 17 ივნისს, სპეციალურმა კომისიამ სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის პოზიციაზე სუს-ის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კობა კობიძე დაამტკიცა.[18]

კანონის მიხედვით,[19] სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა, კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვება;
- კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვება;
- ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება;

---

[17] ფარული კადრების მოპოვება-შენახვაში ბრალდებულები სასამართლომ დამნაშავედ ცნო, კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები სხდომათა დარბაზშივე დაკავეს, *interpressnews.ge,* 03.07.2017, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2tT7zf0

[18] სპეციალურმა კომისიამ სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის კანდიდატურა დაამტკიცა, *სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური,* 17.06.2017, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2us9kkV

[19] საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ- ტექნიკური სააგენტოს შესახებ, *საქართველოს პარლამენტი,* 22.03.2017, http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/146594?

- ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვება და გაცემა;
- სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის განხორციელება;
- კონსპირაციის მიზნით მოამზადოს და გამოიყენოს დოკუმენტები, რომლებშიც შენიღბულია სააგენტოს მოსამსახურის ვინაობა, სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება, ქონება;
- შეამოწმოს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა კანონით გათვალისწინებული საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით და ა.შ.

ახალი ცვლილებებით, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის კონტროლის მხრივ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილებები ნაწილობრივ შეიცვალა. კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს აღარ აქვს ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე ელექტრონული თანხმობის გაცემის უფლება ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის (ე.წ. ორგასაღებიანი სისტემის) მეშვეობით. თუმცა, ინსპექტორს შეუნარჩუნდა კონტროლის ელექტრონული სისტემით[20] ზედამხედველობის უფლებამოსილება, რითაც იგი ამოწმებს მონაცემთა დამუშავების კანონიერებას. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლი შემოიფარგლება მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმებით, და მას აღარ გააჩნია ნებართვის გაცემის უფლებამოსილება ფარული მიყურადების დასაწყებად. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ინსპექტორს უფლება აქვს კონტროლის ელექტრონული სისტემით შეაჩეროს ფარული საგამოძიებო მოქმედება.[21]

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აძლევდა შესაძლებლობას, ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა, ფარული კინო და ფოტო გადაღება განეხორციელებინა სასამართლო ნებართვის და მისი შემდგომი კონტროლის გარეშე; ამ პროცესში ასევე არ მონაწილეობდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. 2017 წლის 22 მარტის ცვლილებებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიენიჭა სპეციალური სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე ე.წ. სტრატეგიული მონიტორინგის[22] განხორციელების შესახებ

[20] საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ, მუხლი 2, პუნქტები ი), ი.ა) და ი.ბ). ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3597534

[21] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 143[6]. ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტა და შეჩერება, პუნქტი 5. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034

[22] „სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიება – სააგენტოს მიერ სადაზვერვო საქმიანობისა და კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ, აგრეთვე იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც არ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული სატელეკომუნიკაციო ნაკადის მონიტორინგი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით“ საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ, მუხლი 2, პუნქტი ა), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3597534

ბრძანების გაცემის უფლებამოსილება, რაც სადაზვერვო და კონტრდაზვერვით საქმიანობას მოიცავს.[23]

ამას გარდა, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში გაჩნდა ე.წ. **ზედამხედველი მოსამართლის** ინსტიტუტი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ. ზედამხედველი მოსამართლე გასცემს ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ ბრძანებას. ზედამხედველ მოსამართლეს ასევე გააჩნია კონტროლის ფუნქციები:[24] კერძოდ, 2020 წლიდან **კონტროლის ელექტრონული სისტემისა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით** ის გააკონტროლებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას;[25] ზედამხედველ მოსამართლეს 2017 წლის 1 ოქტომბრიდან აქვს უფლება ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით გააკონტროლოს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობები[26].

ახალი ცვლილებებით, ზედამხედველი მოსამართლე გასცემს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების ჩატარების შესახებ ბრძანებას და აკონტროლებს ღონისძიების აღსრულების პროცესს.[27] ზედამხედველი მოსამართლე ადგენს ელექტრონული თვალთვალის განხორციელების ვადებს,[28] მას აქვს უფლება შეაჩეროს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.[29] ზედამხედველ მოსამართლეს უფლება აქვს, სპეციალურ სამსახურს მოსთხოვოს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციისა და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის წარდგენა. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების დასრულების შემდეგ, ზედამხედველ მოსამართლეს წარედგინება ანგარიში ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების

---

[23] საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ, მუხლი 16. სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიებისა და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიების განხორციელება, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3597534

[24] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, პუნქტები უ), უ.ა) და უ.ბ), ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/27364#!

[25] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ამოქმედდება 2020 წლის 30 მარტიდან, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/27364#!

[26] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14^7, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/27364#!

[27] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 13, პუნქტი 6, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/27364#!

[28] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14^1, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/27364#!

29 „იმ შემთხვევებში, თუ ა) არ არსებობს ზედამხედველი მოსამართლის ბრძანება ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების ჩატარების შესახებ; ან ბ) კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი არ არის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების ელექტრონული ასლი. “„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14^4, პუნქტი 4, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/27364#!

შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შესახებ და უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი შესაბამისი ოქმის ეგზემპლარი.[30]

სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას ზედამხედველი მოსამართლე აკონტროლებს ა) კონტროლის ელექტრონული სისტემით, ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შემოწმებითა და ბ) კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით, ინიცირებულ/განხორციელებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების სამართლებრივ საფუძვლებთან შედარებით. ამავე მიზნით, ზედამხედველი მოსამართლე აგრეთვე უფლებამოსილია გაეცნოს კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით მიწოდებულ იმ აქტივობებს, შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტებს და ლოგირების მონაცემებს, რომლებიც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[3] მუხლი) ხორციელდება.[31]

აღსანიშნავია, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კონტრდაზვერვითი საქმიანობის მიზნებისთვის ელექტრონული თვალთვალის დაწყება ზედამხედველი მოსამართლის ბრძანების გარეშე, თუმცა ამ შემთხვევაში სპეციალური სამსახური ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების დაწყებიდან 24 საათში მიმართოს მას შესაბამისი შუამდგომლობით. იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველი მოსამართლე შუამდგომლობის საფუძველზე არ გასცემს ელექტრონული თვალთვალის განხორციელების ნებართვას, ელექტრონული თვალთვალის ღონისძიება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, ხოლო ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მიღებული/მოპოვებული ინფორმაცია უნდა განადგურდეს.[32]

განსხვავებული პოზიციები ცვლილებების შესახებ

საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების შემდგომ, ფარული მიყურადების სამართლებრივი მოწესრიგების თაობაზე ხელისუფლების სხვადასხვა შტოებსა და არასამთავრობო სექტორში განსხვავებული პოზიციები არსებობს.

---

[30] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14[5], ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/27364#!

[31] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14[6], პუნქტი 4, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/27364#!

[32] „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14, პუნქტები 1 და 2, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/27364#!

კამპანია „ეს შენ გეხება“

არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანია „ეს შენ გეხება“ 2017 წლის იანვრიდან იყო ჩართული საქართველოს პარლამენტში შექმნილ სამუშაო ჯგუფში, სადაც ხელისუფლებამ ცვლილებების პაკეტის სამუშაო ვარიანტი წარმოადგინა.

არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ეწინააღმდეგებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ქმნიდა რისკებს ადამიანის უფლებებში უსაფუძვლო ჩარევისთვის. “ეს შენ გეხებას“ წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის უცვლელი რედაქციით განხილვის შემდეგ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.[33]

ახალი კანონპროექტის ძირითადი რისკები კამპანიამ „ეს შენ გეხებამ“ შემდეგნაირად შეაჯამა:[34]

- <u>**კანონპროექტით არ სრულდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.**</u> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით: „რეალურ დროში პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის შექმნა, ფლობა, ადმინისტრირება და ამ საშუალებების გამოყენებით პირადი ხასიათის ინფორმაციაზე პირდაპირი წვდომის შესაძლებლობა, ისეთი უწყების მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს გამოძიების ფუნქცია ან არის პროფესიულად დაინტერესებული ამ ინფორმაციის გაცნობით, ქმნის პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი ჩარევის მომეტებულ საფრთხეს”. **კანონპროექტით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეული - საჯარო სამართლის იურიდიული პირი კვლავ რჩება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობაში და ამავე დროს ინარჩუნებს საგამოძიებო/ოპერატიული სამსახურის ბუნებას.** ფარული მოსმენების ტექნიკური განხორციელების გარდა, სააგენტო პასუხისმგებელია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე, სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაზე, ქვეყნის ტერიტორიაზე ბირთვული, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური უსაფრთხოების დაცვაზე. აგრეთვე, ახორციელებს ფარულ აუდიო/ვიდეო ჩაწერას, აწარმოებს პირის გამოკითხვას, ცნობების შეგროვებას და ვიზუალურ კონტროლს, საგნებისა და დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურას და ა.შ.
- <u>**სააგენტო არაა საკმარისი დამოუკიდებლობის გარანტიებით აღჭურვილი.**</u> სააგენტოს ხელმძღვანელის კანდიდატურებს შეარჩევს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და წარუდგენს კომისიას, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობს. **ახალ**

[33] კამპანია „ეს შენ გეხებას“ განცხადება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით წარმოდგენილ ინიციატივაზე, *ეს შენ გეხება*, 31.01.2017, https://www.esshengexeba.ge/?menuid=9&id=1147&lang=1

[34] რისკები და ხარვეზები ფარული მოსმენების ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა გვთავაზობს, *ეს შენ გეხება,* 10.02.2017, https://www.esshengexeba.ge/?menuid=9&id=1149&lang=1

სააგენტოზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. თუკი სააგენტოს უფროსი არაჯეროვნად ასრულებს უფლებამოსილებებს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მისი გათავისუფლების შესახებ წინადადებით მიმართავს პრემიერმინისტრს. სააგენტოს უფროსის მოადგილეებს ნიშნავს სუს-ის უფროსი და განუსაზღვრავს უფლებამოსილებებს.

- <u>ფარული მოსმენების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა იზრდება.</u>
  სააგენტოს ასევე შეიძლება ჰქონდეს ტერიტორიული ორგანოები. შესაბამისად, ნაცვლად არსებული რეალობისა, როდესაც სუს-ის მხოლოდ ერთი დეპარტამენტი ახორციელებს მოსმენებს, შესაძლოა შეიქმნას რამდენიმე სტრუქტურული ერთეული.
- <u>სააგენტოს კონტროლის მექანიზმები ფორმალურია.</u>
  სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გარდა, სააგენტოს კონტროლის ყველა სხვა მექანიზმი ფორმალური ან სუსტია: **მცირდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის ბერკეტები და იგი აღარ მონაწილეობს ტექნიკურად ფარული მოსმენების დაწყების პროცესში;** პრემიერმინისტრის კონტროლი მხოლოდ მისთვის ანგარიშის წარდგენით შემოიფარგლება, თუმცა მანამდე ეს ანგარიში სუს-ის უფროსს წარედგინება; საპარლამენტო კონტროლი კი მხოლოდ ნდობის ჯგუფისათვის სტატისტიკური და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენით შემოიფარგლება.
- <u>სააგენტოს ჩარევა კერძო კომპანიების საქმიანობაში.</u>
  სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობაში მყოფი სააგენტო არა მარტო ახორციელებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, არამედ უხეშად ერევა კერძო კომპანიების საქმიანობაში. **სააგენტოს უფლება ეძლევა, ჩაატაროს ინფრასტრუქტურული აუდიტი ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიაში, დააჯარიმოს იგი (მაქსიმუმ 200 000) და კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას მოსთხოვოს მისთვის ავტორიზაციის შეჩერება.**

აღნიშნული პოზიციიდან გამომდინარე, კამპანია „ეს შენ გეხება“ ადვოკატირებას უწევდა სრულიად დამოუკიდებელი უწყების შექმნას, რომელიც პარლამენტის წინაშე იქნებოდა ანგარიშვალდებული.

სატელეკომუნიკაციო კომპანიები

ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი პარლამენტში ინიცირების შემდეგ გააპროტესტეს, ერთი მხრივ, მსხვილმა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებმა,[35]

[35] ჯეოსელის, მაგთისა და ბილაინისთვის, ფარული მიყურადების შესახებ კანონპროექტი მიუღებელია, *on.ge,* 11.02.2017, http://bit.ly/2tACsEB

ხოლო, მეორე მხრივ, „საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციამ“.[36]

კერძო სექტორის წარმომადგენლები განსაკუთრებით აკრიტიკებდნენ ცვლილებების მომზადების პროცესს. კანონპროექტი, მიუხედავად კომპანიებზე დიდი ფინანსური და მარეგულირებელი გავლენისა, მათთან კონსულტაციის გარეშე მომზადდა. გარდა ამისა, კომპანიები საუბრობდნენ კანონპროექტით მათზე დაკისრებულ მძიმე ვალდებულებებზე. მაგალითად, მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის განცხადებით, კანონპროექტით დაგეგმილი ცვლილებები განსაკუთრებით დისკრიმინაციული იყო მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ და მისი შესრულება სცდება მცირე ოპერატორების შესაძლებლობებს.

ასოციაციის განცხადებით, კანონპროექტის ინიცირებული რედაქციით ამოქმედება პირდაპირ ემუქრებოდა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების არსებობას სატელეკომუნიკაციო ბაზარზე, რადგან მცირე ტელეკომ ოპერატორების დიდი უმეტესობა ვერ შეასრულებდა ინიცირებულ ცვლილებებში გათვალისწინებულ მოთხოვნებს ვერც ფინანსური და ვერც არსებული საკადრო რესურსის პირობებში. მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორები საუბრობდნენ სანქციების შეუსაბამო სიმკაცრეზე და ბაზარზე შემოსვლის დამატებით ბარიერებზე.

პრეზიდენტის ადმინისტრაცია

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების მოწოდების მიუხედავად, პარლამენტმა მმართველი პარტიის მიერ ინიცირებული კანონპროექტი 2017 წლის 1 მარტს მესამე მოსმენით მიიღო. პარლამენტის მიერ კანონის მიღების შემდეგ, პრეზიდენტს 10 დღიანი ვადა ჰქონდა კანონზე ხელის მოსაწერად, ან ვეტოს დასადებად. ამ პერიოდში მან კონსულტაციები გამართა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან.

2017 წლის 20 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო [37] ე.წ. მოსმენების შესახებ საკანონმდებლო პაკეტს და მოტივირებული შენიშვნებით [38] დაუბრუნა პარლამენტს. პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებში ყურადღება იყო გამახვილებული, ერთი მხრივ, **ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დამოუკიდებლობაზე**, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო **კომპანიებისთვის ხარჯების ანაზღაურებაზე**. კერძოდ, პრეზიდენტმა მმართველ პარტიას შესთავაზა ალტერნატიული მოდელი, რომლის მიხედვითაც, ოპერატიული-ტექნიკური სააგენტო პირდაპირ დაექვემდებარებოდა პრემიერმინისტრს. ამას გარდა, პრეზიდენტის პოზიციით, სახელმწიფომ

[36] საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის განცხადება ე.წ. „ფარული მოსმენების“ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, *საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაცია,* 14.02.2017, http://toa.ge/?p=1032

[37] პრეზიდენტმა მოსმენების შესახებ კანონპროექტს ვეტო დაადო, *on.ge,* 20.03.2017, http://bit.ly/2v3oq0b

[38] საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 1 მარტს მიღებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ოპერატიულ - ტექნიკური სააგენტოს შესახებ" კანონპროექტზე თანმდევ კანონპროექტებთან ერთად, *საქართველოს პარლამენტი, http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/58631/07-1.5-veto*

უნდა აუნაზღაუროს ხარჯები კომპანიებს, რომელსაც ისინი უსაფრთხოების მიზნებისთვის მომსახურებაში გასწევენ.[39]

პრეზიდენტის შენიშვნები პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა განიხილა. თუმცა, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის შეფასებით, პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების შინაარსობრივი და სამართლებრივი განხილვის ნაცვლად საკითხის გარშემო მიმდინარეობდა პოლიტიკური დისკუსია.[40]

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ასევე გამოვიდა საკუთარი ინიციატივით ფარული მიყურადების საკითხის დარეგულირებასთან დაკავშირებით. მათი პოზიცია 3 ასპექტს მოიცავდა:

1. აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი უწყების შექმნას, რომელიც არ განახორციელებდა საგამოძიებო უფლებამოსილებას და ანგარიშვალდებული იქნება მხოლოდ პარლამენტის წინაშე;

2. ე.წ. ორი გასაღები - ერთი დამოუკიდებელ უწყებაში, ხოლო მეორე სასამართლოს ხელში;

3. სახალხო დამცველის და პარლამენტის დეპუტატებისთვის ფარული მოსმენების მონიტორინგის და კანონიერების შემოწმების უფლებას.[41] ენმ-ის პოზიცია საინტერესოდ მიიჩნია საქართველოს სახალხო დამცველმა.[42]

მთავრობა და პარლამენტი

პრეზიდენტის ვეტოს და მოტივირებული შენიშვნების მიუხედავად, უმრავლესობას პოზიცია არ შეუცვლია. უმრავლესობის ლიდერის არჩილ თალაკვაძეს შეფასებით, „პრეზიდენტმა ვეტო დაადო არა კანონს, არამედ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას, ვეტო დაადო ბრძოლას ორგანიზებულ

[39] იურიდიული კომიტეტი ე.წ. მოსმენების კანონზე პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს განიხილავს, *interpressnews.ge,* 21.03.2017, http://bit.ly/2tDE6KH
[40] ანა დოლიძე - კომიტეტში პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული შენიშვნების სამართლებრივი განხილვის ნაცვლად, ადგილი ჰქონდა პოლიტიკურად მოტივირებულ დისკუსიას, *interpressnews.ge,* 21.03.2017, http://bit.ly/2uPl6Zy
[41] ენმ აცხადებს, რომ ფარული მოსმენის საქმეზე მათი ინიციატივები მოქალაქეებს დაიცავს, *on.ge,* 22.02.2017, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2uyRf7y
[42] ომბუდსმენი ენმ-ს ინიციატივას ფარული მოსმენის საქმეზე საინტერესოდ მიიჩნევს, *on.ge,* 24.02.2017, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2uCEcBr

დანაშაულთან, ჩვენს შესაძლებლობებს, რომ გავუმკლავდეთ ტერორიზმის რისკებს“.[43] პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო და მიღებული კანონპროექტი უცვლელად დატოვა.[44]

საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების განმარტებით, საქართველოს პარლამენტის მიერ სრულყოფილად იქნა გაზიარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სტანდარტები. საქართველოს პარლამენტის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ ფარული მოსმენების განმახორციელებელი სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მას მაინც აქვს დამოუკიდებლობის სათანადო გარანტიები. ამას განაპირობებს სააგენტოს თავმჯდომარის არჩევის და გათავისუფლების წესი და ასევე მისი ფინანსური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. მსგავსი პოზიციები დააფიქსირეს ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სსიპ – საქართველოს ოპერატიულ ტექნიკური სააგენტოს წარმომადგენლებმა.

შემდგომში, საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვებისას, პარლამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მანამდე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ერთეული - ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი, ახლა კი მას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო. პარლამენტის პოზიციით, ამ გადაადგილებამ ბევრი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია და აამაღლა ამ ორგანოს დამოუკიდებლობა, რადგან კანონმდებლობით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს დამოუკიდებლობის გაცილებით მეტი ინსტიტუციური გარანტიები აქვს ვიდრე - დეპარტამენტს.

პარლამენტის წარმომადგენლების პოზიციით, ამავე კონტექსტში, მხედველობაშია მისაღები სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე გამწესების წესი. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე დეპარტამენტი იყო სუს-ის სტრუქტურული ერთეული, შესაბამისად, მისი ხელმძღვანელიც ერთპიროვნულად ინიშნებოდა სუს-ის უფროსის მიერ. ცვლილებების შემდგომ კი, სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე განწესების პროცედურაში სუს-ის უფროსის როლი შემოიფარგლება მხოლოდ კანდიდატურის წარდგენით. კერძოდ, სუს-ის უფროსის მიერ, კანდიდატურა წარედგინება 7 წევრიან კომისიას, რომელიც ხელისუფლების სხვადასხვა შტოების უმაღლესი წარმომადგენლებისგან შედგება. უფრო კონკრეტულად, კომისიაში არიან სახალხო დამცველის, უზენაესი სასამართლოს, საქართველოს პარლამენტის და მთავრობის წარმომადგენლები. შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ სააგენტოს სამსახურის უფროსის კანდიდატურის წარდგენა, პარლამენტის წარმომადგენლების პოზიციით, არ ნიშნავს, რომ ის უპირობოდ მოწონებულ იქნება შემრჩევი

[43] არჩილ თალაკვაძე - პრეზიდენტმა ვეტო დაადო არა კანონს, არამედ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას, *interpressnews.ge,* 22.03.2017, http://bit.ly/2eHIYaR

[44] პარლამენტმა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია, *interpressnews.ge,* 22.03.2017, http://bit.ly/2eHzT1U

კომისიის მიერ. შესაბამისად, სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა არ არის დამოკიდებული სუს-ის უფროსის ნება-სურვილზე.

რაც შეეხება სააგენტოს უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურას, მართალია ამ პროცესშიც მონაწილეობს სუს-ის უფროსი, თუმცა ამავდროულად ასევე საჭიროა საქართველოს პრემიერმინისტრის თანხმობა, რაც აზღვევს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხეს და, შესაბამისად, ამაღლებს სააგენტოს დამოუკიდებლობას სუს-ისგან.

გარდა ამისა, პარლამენტის პოზიციით, ასევე ამაღლდა ფარული მოსმენების განმახორციელებელი ორგანოს ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიები და კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ვერ მოხდება დაფინანსების შემცირება წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით, თავად სააგენტოს წინასწარი თანხმობის გარეშე.

პარლამენტის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ამაღლდა სააგენტოზე გარე კონტროლის მექანიზმები. კერძოდ, კანონმდებლობით ამომწურავად გაიწერა, თუ რომელი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს რომელ ტექნიკურ საშუალებას იყენებს სააგენტო და როგორ კონტროლდება ის. საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვებისას პარლამენტის წარმომადგენლის პოზიციით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს უფლება აქვს შევიდეს უშუალოდ იქ, სადაც სააგენტოს ინფრასტრუქტურა არის განლაგებული და დააკვირდეს უფლებამოსილი ორგანოს საქმიანობის განხორციელებას, გაეცნოს სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელ, მათ შორის სახელმწიფო სამართლებრივ დოკუმენტებს და ინსტრუქციებს.

გარდა ამისა, ნებისმიერი ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების დროს, შესაბამისმა ორგანომ უნდა შეადგინოს ოქმი, რომელიც სავალდებულო წესით ეგზავნება ინსპექტორს. ინსპექტორს აქვს შესაძლებლობა, კონკრეტულად ნახოს, თუ რა მოქმედებები განახორციელა სააგენტომ და ჰქონდა თუ არა მას ამის უფლება პროკურორის დადგენილების ან მოსამართლის მოტივირებული განჩინების საფუძველზე.

პარლამენტის პოზიციით, საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების შემდგომ, გაუმჯობესდა არსებული სიტუაცია, თუნდაც იმიტომ, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები აღარ ხორციელდება პროფესიულად დაინტერესებული ორგანოს მიერ; სააგენტო არ არის პროფესიულად დაინტერესებული, მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. ის დამოუკიდებლად ფუნქციონირებს სახელმწიფოსგან და აქვს სამართლებრივი, პოლიტიკური და ფინანსური დამოუკიდებლობა. შესაბამისად, პარლამენტის პოზიციით, პირადი ცხოვრების უფლების გაუმართლებლად შეზღუდვის საშიშროება აღარ არსებობს და მოსარჩელეთა მოთხოვნაც არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა აღნიშნა, რომ ინსპექტორის აპარატი საზედამხედველო ორგანოა, შესაბამისად, გამართლებულია პარლამენტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ინსპექტორს მოსმენის დასაწყებად აუცილებელი ე.წ. მეორე გასაღები აღარ აქვს. ინსპექტორის განმარტებით, თუ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას ასრულებს საგამოძიებო ორგანო, მან უნდა აიღოს სრულად პასუხისმგებლობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ინსპექტორი პრობლემას დაინახავს, მას შეუძლია მოითხოვოს ამ პროცესის შეჩერება.

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტი 2013 წლის ივლისში შეიქმნა. 2015 წლის მარტიდან 2017 წლის მარტამდე არსებობდა ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა (ე.წ. ორგასაღებიანი სისტემა), რომელიც ითვალისწინებდა ინსპექტორის დამატებითი ნებართვის საჭიროებას კანონიერი ფარული მიყურადების განსახორციელებლად. ინსპექტორის ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს ინსპექტორმა ორგასაღებიანი სისტემის მეშვეობით 47 შემთხვევაში არ გასცა თანხმობა „მონაცემთა დამუშავების საფუძვლის კანონიერების შემოწმების დროს გამოვლენილი ტექნიკური შეცდომის ან განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არსებული უზუსტობა/ბუნდოვანების გამო. არსებული ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, თანხმობა გაიცა.“[45]

სახალხო დამცველის აპარატი

საქართველოს სახალხო დამცველმა გაიზიარა კამპანია „ეს შენ გეხებას” პოზიცია და განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 22 მარტს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამავე საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რადგან ე.წ. ფარული მიყურადების ტექნიკური შესაძლებლობა კვლავ რჩება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელში.[46]

2017 წლის მარტში, სახალხო დამცველმა გაეროს სპეციალურ მომხსენებელს პირადი ცხოვრების უფლების საკითხებში ჯოზეფ კანატაჩის მოწვევის წერილი გაუგზავნა.[47] მოწვევის მიზანი იყო ისეთი საკითხების შესწავლა და მექანიზმების გამოვლენა, როგორიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და მიყურადების საკანონმდებლო რეგულაციები და მისი კონტროლი. ამას

---

[45] გვ. 62-63, ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, 2016 წელი, *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი,* ხელმისაწვდომია: https://personaldata.ge/manage/res/images/2017/angarishi/Annual%20Report-2016.pdf

[46] სახალხო დამცველი ე.წ. მოსმენების კანონს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებს, *on.ge,* 05.04.2017, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2uCDRyW

[47] უჩა ნანუაშვილმა გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი პირადი ცხოვრების უფლების საკითხებში საქართველოში მოიწვია, *interpressnews.ge,* 16.03.2017, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2v0bgEH

გარდა, სახალხო დამცველმა არასაკმარისად შეაფასა პროკურატურის საქმიანობა საჯარო პირთა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებისა და მუქარის ფაქტებზე.[48]

მორიგი სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში

პარლამენტის მიერ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევისა და ფარული მიყურადების მარეგულირებელი ახალი კანონპროექტის უცვლელად დატოვების შემდეგ, კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა თითქმის სამასმა საქართველოს მოქალაქემ. სარჩელი ასევე შეიტანა საქართველოს სახალხო დამცველმა.[49] ამას გარდა, კანონი გაასაჩივრეს პოლიტიკურმა პარტიებმა: „ევროპული საქართველო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები.“[50]

კამპანია „ეს შენ გეხებას” ფარგლებში მომზადებულ სარჩელებში აღნიშნულია, რომ სააგენტოს აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს პირდაპირი წვდომა სატელეფონო და ინტერნეტ ურთიერთობებზე, როგორც სტაციონარულად, ასევე დისტანციურად, რაც ზრდის ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის რისკებს.

ამასთან, მოსარჩელეები მიუთითებენ, რომ ისინი სადავოდ არ ხდიან ფარული საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ინსტიტუტის კონსტიტუციურობას, რადგან იგი ემსახურება მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების მიღწევას, თუმცა პრობლემურია ამ უფლებამოსილების საგამოძიებო ფუნქციის განმახორციელებელი ორგანოებისთვის გადაცემა, რადგან მათ პროფესიული დაინტერესება აქვთ, მოიპოვონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია; შესაბამისად, **არსებობს საფრთხე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გვერდის ავლით შეაგროვონ პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაცია.**

მოსარჩელეებს მიაჩნიათ, რომ გასაჩივრებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უკანონო ქმედებების თავიდან აცილების საკმარის გარანტიებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას. ამ რისკს განსაკუთრებით ზრდის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური შესაძლებლობები და არაეფექტური გარე კონტროლი მის საქმიანობაზე. მოსარჩელეთა მითითებით, არსებობს სააგენტოს მხრიდან მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე, კანონის გვერდის ავლით ფარული მოსმენების განხორციელების რეალური საფრთხე. ამგვარად,

---

[48] უჩა ნანუაშვილი პროკურატურის საქმიანობას პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების ხელყოფის დანაშაულის გამოძიების საქმეში არასაკმარისად აფასებს, *interpressnews.ge,* 18.05.2017, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2us8gh6

[49] სახალხო დამცველმა ე.წ. მოსმენების კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა, *interpressnews.ge,* 31.05.2017, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/2uptzBF

[50] ფარული მოსმენების კანონის წინააღმდეგ სასამართლოში 300 მოქალაქის სარჩელი შევა, *ნეტგაზეთი,* 06.04.2017, ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/185338/

მოსარჩელეთა აზრით, ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია, მხოლოდ სასამართლოს თანხმობით.

მოსარჩელეები ასევე მიიჩნევენ, რომ სადავო ნორმებს აქვს ე.წ. „მსუსხავი ეფექტი" საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ პიროვნული თვითგანვითარების უფლებასთან მიმართებით. მოსარჩელეთა მითითებით, ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც კომუნიკაციას ამყარებს სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით, შესაძლებელია, გაუჩნდეს შიში, რომ აღნიშნული კომუნიკაცია არ არის დაცული და არსებობს საფრთხე, რომ სახელმწიფო მას უთვალთვალებს. ასეთ ვითარებაში, შესაძლებელია, პირმა საერთოდ უარი თქვას კონკრეტული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებაზე. ამგვარმა თვითშეზღუდვამ კი ადამიანს შეიძლება ხელი შეუშალოს საკუთარი პიროვნების განვითარებაში. ეს საფრთხე განსაკუთრებით ხელშესახებია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმაში მითითებული ქმედება ფარულ ხასიათს ატარებს.

გარდა ამისა, მოსარჩელეები არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ პირთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების 12 თვის ვადით შენახვის შესაძლებლობას, რადგან, მათი აზრით, 12 თვე არაგონივრულად ხანგრძლივი ვადაა.

მოსარჩელეების პოზიციით, უფლებამოსილ ორგანოს შესაბამისი პროცედურული გარანტიების გარეშე, გააჩნია ინფორმაცია მოქალაქეთა ყოველდღიური ქცევის, მათი ჩვევების, სოციალური კავშირებისა და გარემოცვის შესახებ. ეს უარყოფითად აისახება არა მხოლოდ ადამიანთა პირად თავისუფლებაზე, არამედ ადამიანთა სოციალურ კავშირებსა და მთლიანად საზოგადოებრივი ურთიერთობების ჯანსაღ განვითარებაზე.

საკონსტიტუციო სარჩელის განხილვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 17 მაისს საოქმო ჩანაწერით დააკმაყოფილა სასამართლოს პირველი კოლეგიის ორი მოსამართლის მერაბ ტურავას და ლალი ფაფიაშვილის შუამდგომლობა და საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს გადასცა განსახილველად.

აღსანიშნავია, რომ საქმის პლენუმისთვის გადაცემასთან დაკავშირებით ოთხმა მოსამართლემ[51] დაწერა განსხვავებული აზრი. მათ მიაჩნდათ, რომ არ არსებობდა საქმის პლენუმისთვის გადაცემის საჭიროება და საქმე უნდა განეხილა პირველ კოლეგიას, რომელსაც თავდაპირველად დაეწერა საქმე. 4 მოსამართლის ეს განსხვავებული აზრი, შესაძლოა, მიანიშნებდეს მათ დამოკიდებულებას, რომ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები იმეორებს საკონსტიტუციო

[51] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის, მაია კოპალეიშვილისა და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების შინაარს, შესაბამისად, შესაძლებელი იყო კოლეგიასვე ეცნო სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად, საქმის პლენუმისთვის, ანუ სასამართლოს სრული შემადგენლობისთვის, გადაცემის გარეშე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2017 წლის 20, 21, 22 ივნისს და 8 და 9 ივლისს უკვე ჩატარდა საქმის განმწესრიგებელი სხდომა,[52] სადაც განხილულ იქნა საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი. ასევე, განმწესრიგებელ სხდომაზე სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რამდენად იმეორებს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების შინაარს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადავო ნორმები იმავე შინაარსისაა, მას არსებითი განხილვის გარეშე, გამარტივებული წესით შეუძლია გასაჩივრებული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა. თუმცა, ჯერჯერობით, განხილვა არ დასრულებულა და შესაბამისად არ არის ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილება.

მოსარჩელეების და მოპასუხე საქართველოს პარლამენტის გარდა, პროცესზე მოსამართლეებმა ასევე მოისმინეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ახსნა-განმარტებები.

მიმდინარე პროცესების შეჯამება

- 2016 წელს პირველად გახდა ხელმისაწვდომი სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე განხილული შუამდგომლობები სასამართლოებისა და დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით.
- 2017 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე განხილული შუამდგომლობების დაკმაყოფილების 96%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა. წინა წლებში მთელი წლის მანძილზე მოთხოვნათა დაკმაყოფილების წილი 82-86%-ს შორის მერყეობდა.
- ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ შუამდგომლობების სამ მეოთხედს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს. 2016 წელს მან ასეთი შუამდგომლობების 75% განიხილა, ხოლო 2017 წლის პირველ ორ კვარტალში - 74%.

[52] განმწესრიგებელი სხდომა - მიზნად ისახავს საქმის მომზადებას მთავარი სხდომისთვის.

- 2016 წლის და 2017 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, განხილული შუამდგომლობების უმეტესობა (41-46%) მოდის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამ მუხლზე - თაღლითობა (სსკ მუხლი 180), გამოძალვა (სსკ მუხლი 181) და ქრთამის აღება (სსკ მუხლი 338).

- წინა წელთან შედარებით, 2016 წელს, სასამართლოებში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით შესული შუამდგომლობების (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, ინფორმაციის მოხსნა კავშირგაბმულობის არხიდან, ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა კომპიუტერული სისტემიდან და სხვ.) რაოდენობა გაიზარდა 1,5-ჯერ, ხოლო მათი დაკმაყოფილების წილი - 77%-დან 92%-მდე.

- 2016 წელს სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობები მთლიანი ფარული მოქმედებების მხოლოდ 9,7%-ს შეადგენდა.

- 2016 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ზედამხედველობა ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გავრცელდა მთლიანი ფარული საგამოძიებო მოქმედებების მხოლოდ 9,7%-ზე.

- 2017 წლის 3 ივლისს პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების მოპოვება-შენახვაში ბრალდებული კუდ-ისა და პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნები სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

- საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2016 წლის 14 აპრილს ფარული მოსმენების არსებული წესის არაკონსტიტუციურად ცნობის საპასუხოდ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც თვალთვალის ფუნქციებს განახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც შედის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში.

- შეიცვალა ფარული მიყურადების განხორციელების კონტროლის სისტემა - კერძოდ, გაუქმდა ორეტაპიანი ელექტრონული (ე.წ. ორგასაღებიანი) სისტემა, რომლის საშუალებითაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს უნდა გაეცა ფარული მიყურადების დაწყების ნებართვა. სანაცვლოდ, მიყურადების კონტროლს დაემატა ინსპექტორის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება, და უზენაესი სასამართლოს მიერ სტრატეგიული მონიტორინგის განხორციელების შესახებ ბრძანების გაცემის უფლებამოსილება. გარდა ამისა, გაჩნდა ე.წ. **ზედამხედველი მოსამართლის** ინსტიტუტი. ზედამხედველი მოსამართლე განისაზღვრება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ; იგი გასცემს ოპერატიულ-ტექნიკური და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების შესახებ ბრძანებას. ზედამხედველ მოსამართლეს ასევე გააჩნია კონტროლის ფუნქციები.

- მიღებული კანონის მიხედვით, ახლადშექმნილი სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა:

    - სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა, კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვება;
    - კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვება;
    - ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება;
    - ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვება და გაცემა;
    - სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის განხორციელება;
    - კონსპირაციის მიზნით მოამზადოს და გამოიყენოს დოკუმენტები, რომლებშიც შენიღბულია სააგენტოს მოსამსახურის ვინაობა, სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება, ქონება;
    - შეამოწმოს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა კანონით გათვალისწინებული საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით და ა.შ.
- ახალი საკანონმდებლო ცვლილებები კრიტიკის საგანი გახდა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანია „ეს შენ გეხებას“, ისე სახალხო დამცველის, საქართველოს პრეზიდენტის, სატელეკომუნიკაციო კომპანიებისა და ოპოზიციური პარტიების მხრიდან.
- ახალი საკანონმდებლო ცვლილებების წინააღმდეგ შემდეგი კრიტიკა ისმოდა:

    - კანონპროექტით არ სრულდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან ახლადშექმნილი სააგენტო კვლავ რჩება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შემადგენლობაში და ამავე დროს ინარჩუნებს საგამოძიებო/ოპერატიული სამსახურის ბუნებას;
    - სააგენტო არაა საკმარისი დამოუკიდებლობის გარანტიებით აღჭურვილი;
    - ფარული მოსმენების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა იზრდება;
    - სააგენტოს კონტროლის მექანიზმები ფორმალური და სუსტია;
    - სააგენტოს უფლება ეძლევა ჩაერიოს კერძო კომპანიების საქმიანობაში;
    - კერძო სექტორის წარმომადგენლების მტკიცებით, კანონპროექტი მათთან კონსულტაციის გარეშე მომზადდა. მცირე და საშუალო ბიზნესის თქმით, დაგეგმილი ცვლილებები განსაკუთრებით დისკრიმინაციულია მათ მიმართ, რადგან ცვლილებების შესრულება მცირე ოპერატორების შესაძლებლობებს აღემატება.
- პრეზიდენტმა ახალ ცვლილებებს ვეტო დაადო, თუმცა პარლამენტმა არ გაიზიარა პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები, და დაძლია იგი.
- ვეტოს დაძლევის შემდეგ, კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა 300-მა მოქალაქემ (კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში), საქართველოს სახალხო დამცველმა და

პოლიტიკურმა პარტიებმა: „ევროპული საქართველო“, „ნაციონალური მოძრაობა“, „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“.

- სარჩელს ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი განიხილავს.